პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 თებერვალი კვირა 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 38 (14642)

შემოქმედის მოწოდება და პასუხისმგებლობა

ბაივლის სულ რაღაც ორიოდე თვე, და საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ეს იქნება საყოველთაოსახალხო დღესასწაული, რადგან ლენინის სახელთან, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების გამარჯვებასთან სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ჩვენი პლანეტის მშრომელი ადამიანების უკეთესობილურეს ოცნებათა და მისწრაფებათა განხორციელება.

„ბონების მთელს არსენალს — ხელოვნებას, ლიტერატურას, მეცნიერებას — იგი მოქმედებისათვის რაზმავდა", — წერდა ლენინის შესახებ საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი, გამოჩენილი ფრანგი მწერალი რომენ როლანი. მე-20 საუკუნის ყველა გამოჩენილი ხელოვანისათვის ლენინი იმის კლასიკური ნიმუშს იძლეოდა, თუ რევოლუციური სიტყვა როგორ უნდა ერწყმოდეს მოქმედებას, თუ როგორ წარმართავენ და ანაყოფიერებენ უღრმესი იდეები, მეცნიერების უზუსტესი დასკვნები, ხელოვნების უმაღლესი მიღწევები ადამიანთა მასების აქტივობას, რომლებიც უკეთესი, სამართლიანი ცხოვრებისათვის იბრძვიან.

ლენინს, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ შემოქმედებას, სპეციალურ მიზნად არ დაუსახავს ლიტერატურის ისტორიის ან ხელოვნების თეორიის შექმნა, მაგრამ მის გენიალურ თხზულებებში მოცემულია როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის საერთო მეცნიერული პრინციპები, ისე ცალკეულ მწერალთა შემოქმედების ბრწყინვალე ანალიზი, მოცემულია გარკვეული, მთლიანი ხასიათის ესთეტიკური კონცეფცია.

მკაფიოდ და დიდი მეცნიერული სიღრმით ჩამოყალიბებული ლენინის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, მისი მოძღვრება ხელოვნების პარტიულობასა და ხალხურობაზე იყო და არის უტყუარი კომპასი საბჭოთა ხელოვნებისათვის, და საერთოდ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის...

კომუნისტური პარტია ჩვენს მწერლებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, თეატრისა და კინოს ოსტატებს მოუწოდებდა და მოუწოდებს ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნისათვის, რომლებიც მოგვხიბლავენ ცხოვრების ასახვის სიღრმითა და სიმართლით, იდეური პათოსის ძალით, მაღალი მხატვრული ოსტატობით, აქტიურ ზეგავლენას ახდენენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლის სულიერი სახის ჩამოყალიბებაზე, ჩაუნერგავენ საბჭოთა ადამიანებს მაღალ მორალურ თვისებებს, სახალხო იდეალებისადმი ერთგულებას, მოკალაკნობრიობას, მამულიშვილობას ზნედა ჯერძნობებს.

ასეთია თანამედროვე ეტაპზე ამოცანა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისა, ასეთია ამოცანა. კერძოდ, საქართველოს შემოქმედებითი ფრონტის მუშაკებისა, ერთნაირად პასუხსაგები და საპატიო როგორც უკვე აღიარებული, სახელმოხვეჭილი ოსტატებისათვის, ისე ახალგაზრდა ცვლისათვის.

ქართველი მწერლები და მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრალური და კინოხელოვნების ოსტატები თავიანთ შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობენ ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემას, ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ისტორიული სინამდვილითა და თანამედროვეობის სულისკვეთებით გამოხატავენ.

იქმნება ახალი რომანები, მოთხრობები, ლექსები, პოემები, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, სპექტაკლები, კინოფილმები, გამოდის ლენინისადმი მძღვნელი ნაწერები, რომელთა იდეურ-მხატვრული საფუძველია ლიტერატურისა და ხელოვნებაზე პარტიულობის ლენინური პრინციპების ღრმად შეცნობა-გააზრება, სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის შემოქმედების ხოციალისტური მეთოდის ოსტატური მომარჯვება.

ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის საიუბილეო მზადებასთან დაკავშირებით კარგი შედეგები მოგვცა საუკეთესო ნაწარმოებების შექმნაზე გამოცხადებულმა კონკურსებმა, რომლებიც მოაწყეს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, შემოქმედებითმა კავშირებმა და ორგანიზაციებმა.

ბევრი საუურადღებო ნაწარმოებია წარმოდგენილი საქართველოს მხატვართა დიდ საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა თბილისში. რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატების ლენინიანა გამოირჩევა თემატური აქტუალობით, ცხოვრების მართალი ასახვით, ოსტატობით, ბეროიკულ-რომანტიკული პათოსით, ლენინისა და რევოლუციური თემატიკის ორიგინალური გაგრნებითა და გადაწყვეტით, იმისადმი მისწრაფებით, რომ მაღალმხატვრულად აისახოს ჩვენი ხალხის გმირული შემართება და შრომა.

თანამედროვე ეტაპზე დიდია სალიტერატურო კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის მნიშვნელობა. კრიტიკა მოწოდებულია ღრმად იცნობდეს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, სწავლობდეს თვითეულ მხატვრულ ნაწარმოებს, იყოს პირთვნული, პრინციპული შემფასებელი და მეგობარი-მრჩეველი. ჩვენ გვაკლია ლიტერატურულ კრიტიკოსთა და ხელოვნებისმცოდნეთა მძლავრი, ჭანსაღი რაზმი. მწერლობისა და ხელოვნების საკითხებზე საუურადღებო წიგნებს, ნაშრომებს, გამოკვლევებს, ცალკეულ სტატიებს წერენ როგორც უკვე გამოცდილი, ისე ახალგაზრდა კრიტიკოსები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ გვრჩება ბევრი რომანი და მოთხრობა, ლექსი და პოემა, სახვითი და მუსიკალური ხელოვნების ნაწარმოები, სპექტაკლი და კინოფილმი, რომელთა შემქმნელი ავტორები ელიან კრიტიკოსთა ობიექტურ აზრს, პირუთვნელ შეფასებას და შენიშვნებს მომავალ შუშაობაში გასათვალისწინებლად და უურადსაღებად.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება-განმტკიცებაში, მის დღევანდელ ცხოვრებაში დიდი როლი აკისრიათ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, კერძოდ ამ დარგის ეურნალ-გაზეთებს — „ლიტერატურულ საქართველოს", „მნათობს", „ცისკარს", „საბჭოთა ხელოვნებას" და სხვ. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი ეურნალის ფურცლებზე ბევრი მნიშვნელოვანი და საუურადღებო მასალის გვერდით ადგილს უთმობენ არაფრისმთქმელ, ეღიმღამო, ზოგჯერ ყოვლად მოუხერხებელ მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ წერილებს, ინტერვიუებს, დღიურებსა თუ მოგზაურობის ჩანაწერებს, რომლებიც „გამოირჩევა" გაუმართლებელი პრეტენზიებითა და მცდარი სუბიექტური მოსაზრებებით.

იმისათვის, რომ მომავალში ასეთი ფაქტები არ გამეორდეს, საჭიროა განსაკუთრებით გაიზარდოს ეურნალ-გაზეთების რედაქტორების, სარედაქციო კოლეგიების, მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობა და მოვალეობის მაღალი შეგნება. ეურნალსა თუ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაზე რედაქტორთან ერთად პასუხს უნდა აგებდეს სარედაქციო კოლეგიის ყოველი წევრიც. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ზოგიერთ მათგანს არათუ არ წაუკითხავს, არამედ არც კი იცის, რა იბეჭდება, და როცა ამის შესახებ ჰკითხავენ, ხელებს გაშლის და გაიკვირვებს კიდეც: პრესა, რადიო და ტელევიზია საზოგადოებრივი აზრის შექმნის უდიდესი ძალაა, როგორც პროპაგანდისტი და ორგანიზატორი პარტიისა და მთავრობის აქტიური თანაშემწეა, ამიტომ შუშაობა ისე უნდა წარმართოთო, რომ იგი მტკიცედ ასრულებდეს თავის დანიშნულებას.

საბჭოთა მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი, როგორც კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები, ახალი მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე დგანან. ეს ნათლად არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის":

„კომუნიზმის სულიერი წანამძღვრების შექმნაში, ახალი ადამიანის აღზრდაში ლენინი დიდგვიშვნელოვანს ადგილს ანიჭებდა ლიტერატურასა და ხელოვნებას. საზოგადოება რომელიც კომუნიზმს აშენებს, ღრმად დაინტერესებულია ლიტერატურისა და ხელოვნების. მხატვრული შემოქმედების ყველა ფორმის აუცავებით. მათი საზოგადოებრივი ღირებულება განისაზღვრება მაღალი მხატვრული ოსტატობით, იდეური უკომპრომისობით და პარტიული მგზნებარებით კომუნისტური იდეალების დამკვიდრებაში".

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საბჭოთა მხატვრული სიტყვის ქართული ოსტატები, ჩვენი ხელოვნების მოღვაწენი ღირსეულ წვლილს შეიტანენ თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების შექმნაში, თავიანთ ქმნილებებში მაღალმხატვრულად ასახავენ საქართველოს მშრომელი ადამიანების სახასიელო საქმეებსა და მიღწევებს.

ფოტო და კინოდოკუმენტები ვ. ი. ლენინზე

ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შემონახულია უაღრესად საინტერესო დოკუმენტები, და მათ შორის კინო და ფოტომასალები, სამწუხაროდ, ფოტოსურათები არც თუ ბევრია დაცული. ლენინი უაღრესად თავმდაბალი იყო და არ უყვარდა სურათების გადაღება. ცნობილია, რომ, როცა ფოტოგრაფები ან კინოოპერატორები მის გადასაღებად აპარატების ობიექტებს მიმართავდნენ, ლენინი ეუბნებოდათ:

„ნაკლებად გადამიღეთ მე, გადაიღეთ ხალხი, რომელიც ისტორიას ქმნის!".

და მაინც ხელოვანმა ფოტოგრაფებმა ფოტორეპორტიორებმა, მოყვარულმა ფოტოგრაფებმა და კინოოპერატორებმა აღბეჭდეს ლენინი სულ სხვადასხვა ვითარებაში. ჩვენს დრომდე მოღწეულ ფოტოსურათებსა და კინოკადრებზე ვხედავთ ლენინს, მიტინგებზე, ყრილობებსა და ზეიმებზე რომ გამოდის, მშრომელებს რომ ესაუბრება, ვხედავთ მას კრემლის კაბინეტში, ზოგიერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ლენინი დასვენების იშვიათ წუთებში, ოჯახის წრეში.

შემორჩენილია ლენინის 39 ფოტოსურათი, რომლებიც გადაღებულია ორმოცდაცხრა წლის განმავლობაში — 1874-დან 1922 წლამდე. ფოტოდოკუმენტებს ემატება კინოკადრები, რომლებიც გადაღებულია ხუთი წლის განმავლობაში — 1918-დან 1922 წლამდე. სულ ინახება 874 მეტრი კინოფირი.

ფოტოსურათები და კინოფირები ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში (მოსკოვი).

სპეციალური საკონსერვაციო-სარესტავრაციო დამუშავების შემდეგ ისინი მოათავსეს მუდმივი მიკროკლიმატის მქონე საცავში, რაც უზრუნველყოფს მათს ხანგრძლივად შენახვას.

ვ. ი. ლენინის ეს იშვიათი ფოტოსურათები, რომელთაგან დღეს მხოლოდ ორს ვთავაზობთ ჩვენს მკვიდხველებს ახალი ამბების სააგენტოს კადმოსცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა.

ახალი ამბების სააგენტო.

• • •

ვ. ი. ლენინი სიტყვით მიმართავს ჯარებს ყოთელ მოედანზე გამართული პარადის დროს. მოსკოვი. 1919 წლის 25 მაისი. (სურათზე ზემოთ.) **ვ. ი. ლენინი „ბანთავისუფლების ზრომის" ძეგლის გახსნის ცერემონიაზე.** მოსკოვი. 1920 წლის 1 მაისი. (სურათზე ქვემოთ).

სრული სიმძლავრით

კრივოი როგი, 12 თებერვალი. (საკუდესის კორ.). ვადამდე მიღწეა საპროექტო სიმძლავრეს ერთერთმა უდიდესმა ჩრდილოეთის სამთო-გამამდიდრებელმა კომბინატმა. იგი სულ რამდენიმე დღის წინათ ჩადგა მთლიანად მწყობრში. უკვე განვლილ დეკ-ლამის განმავლობაში გამამდიდრებლებმა გაიმომუშავეს 38 ათას ტონაზე მეტი მაღალბარისხოვანი რკინის კონცენტრატი — ათასით მეტი, ვიდრე პროექტით არის გათვალისწინებული.

წარმატება უზრუნველყო ყველა მანქანისა და მექანიზმის ათვისების საუმთოთა მწყობრმა ორგანიზაციამ, თქვა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ა. ი. კლოჩკომ. თითოეულ ტექნოლოგიურ ხაზზე, რომლებიც ზედიზედ დგებოდნენ მწყობრში, ვგზავნიდით ყველაზე გამოცდილი სპეციალისტებისაგან შემდგარ ბრიგადებს.

მიმდინარე წლის დასრულებამდე ჩრდილოეთის კომბინატის კოლექტივმა უნდა გამოიმუშაოს დაახლოებით თითხმეტი მილიონი ტონა რკინის კონცენტრატი — თითქმის ნახევარი მილიონი ტონით მეტი, ვიდრე პროექტით არის გათვალისწინებული.

დონეცკური ნართი

დონეცკი, 12 თებერვალი. (საკუდესის კორ.). ამოქმედდა დონეცკის კამეოლ-სართავი ფაბრიკის პირველი რიგი. იგი სიმძლავრეთ მეორეა უკრაინაში. ყოველწლიურად აქ გამოიშვებენ ხუთი ათას ტონამდე შალას, ნახევრად შალისა და სინთეზურ ნართს. ასეთი რაოდენობის ნართისაგან შეიძლება დამზადდეს დაახლოებით ათი მილიონი ტრიკოტაჟის ნაწარმი.

ახლა დონეცკში შენდება მძლავრი ბამბეულის კომბინატი, მაკეევკაში, გორლოვკასა და შახტორსკში — სამი ფაბრიკა — ბამბეულის, ტრიკოტაჟის ტილოს და სამკერვალო-ტრიკოტაჟის ფაბრიკები.

ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘ

12 თებერვალს მოსკოვში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების დამზადებათა მინისტრებისა და დამამზადებელი ორგანოების სხვა მუშაკების თათბირი.

განხილიულ წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის კონტრაქტაციების დამთავრებასთან, სავაჭრებულო თუნდაცსთვის თესლის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს კომბინირებული საკვებისა და საფეიქრებულო ბრეწველობის საწარმოების მშენებლობის საკითხებს, ადგილობრივი დამამზადებელი ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ამოცანებს.

თათბირში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრი ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲜᲔᲠᲕᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲕᲨᲘᲠᲩᲔᲚᲝᲡᲚᲝᲕᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ

12 თებერვალს მოსკოვში წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება, რომლის შედეგად საბჭოთა კავშირმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის 1970 წლის გეგმას.

შრიეე მხარე მიმდინარე წელს განახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის, აგრეთვე გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულში.

გეგმის შესაბამისად ჩვენში გაიმართება „ჩეხოსლოვაკია სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის დღეები", ჩეხოსლოვაკიაში კი „საბჭოთა კულტურის დღეები". კულტურის დღეებში მოაწყობენ ორიგინალურ ეროვნული ანსამბლები და მასხარობენი, მოაწყობა გამოფენები, უჩვენებენ კინოფილმებსა და სხვ.

გათვალისწინებულია სამეცნიერო ინსტიტუტების, სასწავლებლების, სკოლების ურთერთ მეგობრობა. კიდევ უფრო განვითარდება კავშირი რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, კინოპატოგრაფიის დარგში.

ᲑᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ

ბაკო, 13 თებერვალი. (საკუდესის კორ.). ბაკოს მეტროს მშენებლებმა დიაფრაგმის კიდეგ ერთი მარშრუტის გაყვანა. ბაკოს „გეორგაბმშენის № 2 სამშენებლო სამმართველოს გეორგაგამყვანებმა დღეს სტარტი აიღეს მომავალ სადგურ „ულდუზიდან" სადგური „აზიზბეკოვსკენ". მათ სამკლოვმეტრიანი კორიდორი უნდა გაიყვანონ რთულ გეოლოგიურ პირობებში, როცა მაგალი ლოდის ქანები ინაცვლებენ წყლიან ქვიშებს. ახალი მაგისტრალი ქალაქის ცენტრს დაუკავშირებს ნავთობის სარეწების ზონასთან.

ბაკოს მეტროპოლიტენი აზერბაიჯანის დედაქალაქის განუყოფელი ნაწილი ხდება. უახლოეს სამ-ოთხ წლიწადში საექსპლოატაციოდ გადასცემენ 8,5 კილომეტრი საერთო სიგრძის ახალ მიწისქვეშა ტრასებს. ამ ტრასებზე უნდა აშენდეს ხუთი სადგური.

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ-ᲡᲐᲛᲠᲔᲠᲝ!

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შერომა საწარმომ, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესახვედრისათვის, მნიშვნელოვან საწარმოო ეკონომიურ წარმატებებს მიაღწიეს.

მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა მოსკოვიდან სახიხარულო ცნობა მიიღეს. 1969 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მათ „აიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით შეჯიბრებაში გამარჯვებულს — თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკისა და № 2 თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივებს მიენიჭათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

სამტრესტის რუსტოვის ღვინის ქარხნის კოლექტივმა დაიმსახურა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეჯიბრებაში გამარჯვებულს — სამტრედიის ხორცის კომბინატის კოლექტივს მიენიჭა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

(საქდისი).

□ □ □

საამქრო—ინიციატორი

თბილისი. (საქ. კორ.). **ვიმუშაოთ რიტმულად, დროულად დავამთავროთ რეკონსტრუქცია, ვიბრძოლოთ ტექნიკური პროგრესისათვის, უხუცესი ქარხანა გადავაქციოთ მაღალი კულტურის საწარმოდ, დავუზოგოთ ძვირფასი ლითონები.** ასეთი ინიციატივები გამოვიდა ამ დღეებში ორთქლმავალმაგონშემკეთებელი ქარხნის სამეცადინო საამქროს კოლექტივი, რომელსაც დ. ჯიქია ხელმძღვანელობს.

საამქროს მეცდლეებმა, რომელთა შორის ბევრი სახელმოხვეჭილი ოსტატია, **ვალდებულება იკისრეს კიდევ უფრო უმჯობესად შრომის ტემპს და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეოდ, 22 აპრილისათვის შეასრულონ მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება.**

იანვრის და თებერვლის პირველი დეკადის დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მძლავრ ეტაპებზე მომუშავე ოსტატებმა კ. ილურიძემ, ს. შუმლაძემ, ს. ამბარცუმიანმა, თ. ჯაგიევმა. საერთოდ კი საამქროს კოლექტივმა იანვრის გეგმა 147 პროცენტით შეასრულა, დავალების გადაჭარბებით გამოუშვა 12 ტონა ნაკეთი ლითონი.

თებერვლის პირველ დეკადაში ინიციატორი საამქროს კოლექტივის მიერ უკვე გამოშვებულია 40 ტონა ნაკეთი პროდუქცია, დაიზოგა ძვირფასი ლითონი. **მეცდლეების გადაწყვეტილებაა ხელადის დაბადების დღეს — 22 აპრილს დანაზოგი ლითონებით იმუშაონ.**

თავყრილობა დაიწყო

ბონი, 14 თებერვალი. (საკდესი). დღეს პატარა ქალაქ ვერტჰაიმში (ბადენ-ვურტენბერგი) დაიწყო ორდღიანი ნეონაცისტური თავყრილობა, რომელსაც ოფიციალურად უწოდებენ „ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე ფედერალური ყრილობას". ფაქტიურად ეს ყრილობა იმართება დასახელ ვალაზე სამი თვით გვიან, რადგან გასული წლის ნოემბრის შუა რიცხვებში საარის ოლქის მშრომელებმა ჩაფუშეს ამ ყრილობის მოწყობა საარბრიუკენში.

ყრილობამ, რომელშიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოვიდა ასობით ნეონაცისტი, უნდა მიიღოს საპროგრამო „მანიფესტი", აგრეთვე აირჩიოს პარტიის ხელმძღვანელობა.

ნეონაცისტთა თავყრილობა იმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივობის მრავალი პროტესტის მიუხედავად.

პრეზიდენტის თანხმობა

ანკარა, 14 თებერვალი. (საკდესი). დღეს თურქეთის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი დეთანხმა სულეიმან დემირელის მთავრობის გადადგომას, რომელიც იმით არის გამოწვეული, რომ სამართლიანობის მმართველი პარტიის 40-ზე მეტმა დეპუტატმა ოპოზიციასთან ერთად ხმა მისცა 1970 წლის ბიუჯეტის მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ.

დემირელის გაკიცხვა

ანკარა, 14 თებერვალი. (საკდესი). როგორც აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი ეწვია დღეს თურქეთის პრეზიდენტს ჯევდეთ სუნაის და გადასცა განცხადება თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ.

პრეზიდენტმა სულეიმან დემირელს დავალა შეადგინოს ახალი მთავრობა და წინა მთავრობის წევრებს სთხოვა, შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი მინისტრთა ახალი კაბინეტის შექმნამდე.

სულეიმან დემირელი სამშობლო მტრული დაჯგუფების ლიდერმა სამართლიანობის პარტიაში საეუთონ ბიულენტმა ბოუჯეტის კანონპროექტის უარყოფის გამო შექმნილი კრიზისს ლიკვიდაციის ერთერთ პირობად მოითხოვა „დემირელის გადადგომა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან".

სესია განახლდა

ტოკიო, 14 თებერვალი. (საკდესი). იაპონიის პარლამენტის 63-ე სპეციალურმა სესიამ. დღეს ტოკიოში განაახლა მუშაობა. 1969 წლის 27 დეკემბერს წარმომადგენელთა პალატის არჩევნების შემდეგ ახლანდელი სესია პირველად შეიკრიბა ამა წლის 14 იანვარს და იმუშავა 20 იანვრამდე, რის შემდეგ გამოცხადდა მუსვენება 14 თებერვლამდე 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲐ

შეთანხმებული ეკონომიკური ღონისძიებანი

ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘ ᲩᲐᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲓᲜᲔᲞᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ კალინინის სახელობის კოქსქიმიურ ქარხანაში მძლავრმა სამრეწველო დანადგარმა გამოუშვა პირველი ათობით ტონა გოგირდი. ამ აგრეგატით, რომელიც საწარმოს სპეციალისტებმა და ნოვატორებმა შექმნეს, ძვირფას ქიმიურ პროდუქტებს იღებენ გოგირდ საწმენდი საამქროს ჩამდინარე წყლებიდან.

დანადგარი ამზადებს წმინდა გოგირდს, რომელიც სჭირდებათ მინისა და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოებს. გათვალისწინებულია მომავალში ამ დანადგარით მიღონ აგრეთვე ნატრიუმის სულფატი და როდანის ნატრიუმი — ელექტრული ქიმიური საშუალებანი სარეცელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

(საკდესის კორ.).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

კოლმეურნეობის ახალი წესდება



სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაამტკიცა თავისი ახალი წესდება

სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს კოლმეურნეობის ახალმა სანიმუშო წესდებამ.

ლ. ი. ბრეჟნევი

ამ ბოლო წლებში კოლმეურნეობის ეკონომიკა ალაზნის ველს გამყურებს ლამაზი და საკმაოდ დიდი სოფელი ძველი ანაგა. ნახეთ ეს სოფელი, რა მშვენიერი სახლები უდგათ კოლმეურნეებს ალალი, მართალი შრომით აშენებული და დამშვენებული. რა კარგი სკოლა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები და სხვა ნაგებობები ამშვენებს მას, ნახეთ მისი მინდვრები, ბაღები, ვენახები, ფერმები...

ყველაფერი ეს სიუხვე და სიმშვენიერე საკოლმეურნეო მშენებლობის პირმშოა, კოლმეურნეთა კოლექტიური შრომის მადლიანი ნაყოფია.

ახლა კალენდრის მიხედვით ზამთარია, მაგრამ ძველანაგელი კოლმეურნეები მზიან ამინდებს გონივრულად იყენებენ... მინდვრად გავიდნენ მექანიზატორები... მევენახეები ერთდროულად ვაზს ხლავენ, მეჩხერ ადგილებს ავსებენ და ახალ ვენახსაც აშენებენ.

მემინდვრეებიც გულმოდგინედ უვლიან საშემოდგომო ნათესებს; ფერმებში გაჩაღებულია დოღი...

12 თებერვალს კი სულ სხვა, დიდი საქმე ჰქონდათ გადასაწყვეტი ძველანაგელებს. მათ დილიდანვე თავი მოიყარეს კოლმეურნეობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, რათა ერთხელ კიდევ გულდასმით განეხილათ და მიეღოთ კოლმეურნეობის ახალი წესდება. კოლმეურნეთა ამ დიდ კრებას 800-ზე მეტი კაცი ესწრებოდა.

ახალი საკოლმეურნეო წესდების მიღების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატი **იოსებ ბეგიაშვილი.**

— მე წილად მხვდა ბედნიერება, — თქვა მან, — მოუნაწილეობა მიმეღო კოლმეურნეთა რესპუბლიკური და სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის მუშაობაში, საკუთარი თვალით მენახა კოლმეურნე გლეხობის მტკიცე დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გარშემო სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ჩვენი კოლმეურნეები ჯერ კიდევ კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობამდე დაწვრილებით გაეცნენ კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტს, რომელიც შემდგომ მიიღო ყრილობამ და დაამტკიცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

ამის შემდეგ ჩვენს კოლმეურნეობაში შეიქმნა წესდების პროექტის შემმუშავებელი კომისია, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სპეციალისტები, საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანები, პარტიული და სამეურნეო აქტივის წარმომადგენლები.

კომისიის მიერ შემუშავებულ წესდების პროექტს წინასწარ გაეცნენ ჩვენი კოლმეურნეები ფერმებისა და ბრიგადების კრებებზე, წამოაყენეს თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი. მათი გათვალისწინებით დღეს იგი წარმოდგენილია თქვენს წინაშე განსახილველად.

ახალი წესდების საფუძველზე ჩვენი კოლმეურნეობა მიზნად ისახავს ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს და განვითაროს სახოგადოებრივი მეურნეობა, განუხრელად აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, სახოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე მიღებულმა პირველმა წესდებამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა სოფლის წინსვლის საქმეში, კოლმეურნე გლეხობის, როგორც თანამედროვე სოფლის ბატონ-პატრონის ჩამოყალიბების საქმეში.

სახელიღა შემორჩა — ძველი ანაგა, თორემ ჩვენი სოფელი მთლიანად განახლებულია, მის მოასფალტებულ ქუჩებს ამშვენებს კოლმეურნეთა ახალი ორსართულიანი სახლები, სკოლა, საავადმყოფო, კულტურის სახლი, აქ არის საბავშვო ბაღი და ბაღი, აბანო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ნაგებობანი. ასზე მეტ მშრომელს მსუბუქი ავტომანქანა აქვს. სოფელი თანამედროვე პატარა ქალაქს მოგვაგონებს.

ყოველივე ეს შედეგია კოლმეურნეთა მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათისა. მარტო უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი 28-ჯერ გაიზარდა და 326.916 მანეთის ნაცვლად შარშან 2 მილიონი მანეთი შეადგინა.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა აგრეთვე იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს მიწათმოქმედების კულტურისა და შრომის ორგანიზაციის ამაღლების და დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. პირველად სიტყვას იღებს მევენახე-ბრიგადირი **მიხეილ ღვედაშვილი,** რომელმაც ილაპარაკა თავის კოლმეურნეობაზე, მოწინავეებზე. — ჩვენ გულდასმით გავეცანით აქ დასამტკიცებლად წარმოდგენილ კოლმეურნეობის წესდებას, — თქვა მან, — და ვფიქრობ სრულად გამოვხატავ ჩემი თანასოფლელების აზრს, თუ ვიტყვი, რომ ახალი წესდება მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარეობს და მათი კეთილდღეობის უტყუარი გარანტიაა. სულით და გულით ვიწონებთ ახალ წესდებას, ამასთან დაკავშირებით, ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ საიუბილეო წელს უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი ვაწარმოოთ.

კოლმეურნეობის ეკონომისტმა **ლიანა ტალიაშვილმა** იმისი მეტყველი ციფრები მოიყვანა, თუ წლითიწლობით როგორ ძლიერდება კოლმეურნეობა ეკონომიურად, როგორ მცირდება დანახარჯები წარმოებული პროდუქციის ერთეულზე, როგორ გახდა კოლმეურნე შეძლებული, თავისი ბედის მჭედელი, მან აგრეთვე გამოთქვა თავისი შენიშვნები-წესდების სხვადასხვა მუხლის გამო.

სოფლის ახალგაზრდების სახელით კრებაზე გულმხურვალედ ილაპარაკა კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **როლანდ სოზაშვილმა.** ჩვენ, ახალგაზრდებმა, სოფლის ვეტერანი კოლმეურნეებისა და მამების მიერ გადმოცემულ ესტაფეტას მტკიცედ ჩავჭიდეთ ხელი, გულმოდგინედ ვშრომობთ სახელოვანი ტრადიციების გასაგრძელებლად. მამა-პაპათა მიერ საკოლმეურნეო ცხოვრების დასამკვიდრებლად დახარჯულ შრომას, სიძნელეებთან მედგარ შეჯახებას უქმად არ ჩაუვლია. მათ მიერ ჩამოყალიბებული ჩვენი სოფლის კოლმეურნეობა მშრომელთა წინსვლისა და შეძლებული ცხოვრების წყაროა. 164 კომკავშირელის სახელით პირობას ვდებ, რომ ჩვენ კვლავაც გავამდიდრებთ მამათა ტრადიციებს, ვიშრომებთ, ვისწავლით ისე, რომ პარტიისა და სამშობლოს მადლობა დავიმსახუროთ.

მან ბევრი ახალგაზრდა დაასახელა, რომლებიც ენერგიულად შრომობენ კოლმეურნეობაში, ქმნიან სახალხო დოვლათს.

მეძროხეობის ფერმის მწველავმა **შალვა ზურაშვილმა** კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა ახალ წესდებაში მოყვანილ შრომის ანაზღაურების წესებზე და თქვა, რომ წესდება კოლმეურნეთა ინტერესების დამცველია. ამიტომ ვიწონებთ და მომხრე ვარ დავამტკიცოთ ამ კრებაზეო. ამხ. ზურაშვილმა შარშან გადამეტებით შეასრულა რძის წარმოების გეგმა. ამასთან იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულება.

ძველი ანაგის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ **ბიძინა ჯალიაშვილმა** მიიწონა კოლმეურნეობის ახალი წესდება. მან მოიყვანა მრავალი ფაქტი, თუ როგორ გარდაქმნა სოფელი საკოლმეურნეო წყობილებამ, როგორ ვახადა მშრომელთა ცხოვრება შეძლებული და საამური.

ვეტერანმა კოლმეურნემ **გიორგი ბეგიაშვილმა** მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა მთავრობას კოლმეურნეობების შემდგომ განმტკიცებაზე ასეთი შეუნელებელი ზრუნვისათვის. მან ილაპარაკა მშობლიური სოფლის წარსულზე, მოიყვანა იმის ბევრი მაგალითი, თუ როგორ იბრძოდნენ სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრებისათვის, გაიხსენა ის პერიოდი, როცა კულაკები თავს ესხმოდნენ კოლექტიური შრომის გამარჯვებისათვის მებრძოლ ადამიანებს, ილაპარაკა იმ პერიოდზე, როცა მიიღეს პირველი წესდება. ისიც თქვა, თუ რა დიდი როლი შეასრულა პირველმა წესდებამ, რომელმაც გლეხს ბედნიერი ცხოვრება მოუტანა. ახალი წესდება მხურვალედ მოიწონა ბერიკაცმა და საკუთარი ლექსიც წაიკითხა.

ლენინ, შენ საქმეს დიდება, ვმუშაობთ შენი გეგმითა,
ადრე დაჩაგრულ გლეხობას კარგი ცხოვრება გველირსა.
ახალ წესდების სიკეთით ვამრავლებთ ბაღს და ვენახებს.
ჩვენს განახლებულ მამულში, ნეტავ, ჩემ თვალით მენახე.

კოლმეურნე გლეხკაცის ალალი გულით ნათქვამ სიტყვებს თანასოფლელები ტაშით შეხვდნენ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ და წესდებაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აგრეთვე მეძროხეობის ფერმის გამგემ **ილია ღვედაშვილმა** და მევენახე **მარიამ ბეგიაშვილმა.**

ძველანაგელ კოლმეურნეთა კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **შ. ჭანუყვაძემ.**

— კოლმეურნეობის ახალი წესდების მიღება დიდი მოვლენაა საკოლმეურნეო სოფლის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, — თქვა მან. — ამ წესდების დაცვა, მისი ყოველი მუხლის შესრულებისათვის ბრძოლა ძველანაგელ კოლმეურნეთა ღირსების საქმეა. წესდების კანონის ძალა აქვს. უნდა ამაღლდეს ყველა მუშაკის ორგანიზებულობა, დისციპლინა და მაღალი მორალური პასუხისმგებლობა ამ კანონის განხორციელებისათვის. წესდებით მონიშებული ყველა სიკეთე კი პირველ რიგში თვით კოლმეურნეებს უნდა მოხმარდეს.

კოლმეურნეობის ახალი წესდება, რომელმაც შეაჯამა საკოლმეურნეო ცხოვრების განვლილი პერიოდი და დასახა მომავლის გეგმები, უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის დოკუმენტია.

წინაპართა ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი ახალგაზრდობა შესანიშნავ შრომითს წარმატებებს აღწევს. ავიღოთ თუნდაც ძველანაგელი ახალგაზრდები. ისინი ენერგიულად შრომობენ მინდვრად, ვენახებსა თუ ფერმებში.

ამ სოფლიდან სამამულო ომში 479 კაცი წავიდა, რომელთაგან 226 აღარ დაბრუნებულა. შინმოუსვლელთა ხსოვნას მარადიული ძეგლი უნდა დავუდგათ ჩვენს გულში. ომში დაღუპულთა ოჯახებს სოფლის ახალგაზრდობა პატივს უნდა სცემდეს, მათს სახელოვან ტრადიციებს არ უნდა ივიწყებდნენ. შრომით უნდა ვადიდებდეთ იმათ სახელებს, ვინც სიცოცხლე შესწირა ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას, რომ დღეგანდელ თაობას თავისუფლად ეშრომა, ესწავლა და ბედნიერად ეცხოვრა.

რაიონის, კოლმეურნეობის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები ყოველი ღონისძიებით უნდა იღუწოდნენ სოფლად მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ ახალგაზრდობას მშობლიურ სოფელში შრომა და ცხოვრება სიამოვნებდეს.

1970 წელი, — თქვა დასასრულ ამხ. შ. ჭანუყვაძემ, — საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი წელია. ეს არის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის, ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების 25 წლისთავის წელი. გარდა ამისა, 1970 წლის შედეგებით აღინიშნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი, რომელსაც ერთი წელიღა გვაშორებს. ამიტომ ყველა მონდომებით და თავდადებით უნდა შრომობდეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ — ძველანაგელები სიღნაღის რაიონის და საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად თავდადებით იშრომებენ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ ლენინის საიუბილეო წლისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

საერთო კრებაზე კოლმეურნეებმა მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობის ახალი წესდების შესახებ". მასში ვკითხულობთ:

● **დამტკიცდეს** ძველი ანაგის კოლმეურნეობის ახალი წესდება, რომელიც შემუშავებულია კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების საფუძველზე.

● **კოლმეურნის** ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) ბოსტნის, ბაღის, ვენახისა და სხვა საჭიროებისათვის მიწის საკარმიდამო ნაკვეთი განესაზღვროს 0,5-მდე ჰექტარის ოდენობით, შენობებით დაკავებული მიწის ჩათვლით, კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) წევრთა რაოდენობისა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით. კოლმეურნეობის გამგეობამ სისტემატური კონტროლი დაწესოს საკარმიდამო ნაკვეთების დადგენილი ოდენობისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვისადმი.

● **დაწესდეს,** რომ კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) პირად საკუთრებაში შეიძლება ჰყავდეს ერთი ძროხა ან ფურკამეჩი, ერთ წლამდე ასაკის ერთი ნამატი და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორ წლამდე ასაკის ერთი სული მოზარდეული, ერთი ნეზვი სამ თვემდე ასაკის ნამატით ან ორი გასასუქებელი ღორი, 10 სულამდე ცხვარი და თხა ერთად, ფუტკრის ოჯახები, ფრინველი, ერთი საჯდომი ცხენი ან ვირი.

● **საკოლმეურნეო** ცხოვრების ძირითადი საკითხების ფართო დემოკრატიისა და კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობის საფუძველზე გადასაწყვეტად კოლმეურნეობის საერთო კრებამ მართვის უმაღლეს ორგანოდ სანიმუშო წესდების შესაბამისად დაიწესა რწმუნებულთა კრება.

● **დაევალოს** კოლმეურნეობის გამგეობას შეიმუშაოს და კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებას განსახილველად წარმოუდგინოს კოლმეურნეობის შინაგანაწესი: მტკიცე და მუდმივი კონტროლი დაწესოს კოლმეურნეობის ახალი წესდების ყველა მოთხოვნის განუხრელად და ზუსტად შესრულებისადმი.

● **ეთხოვოს** სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს რეგისტრაციაში გაატაროს ძველი ანაგის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალი წესდება.

კოლმეურნეებმა საიუბილეო 1970 წლისათვის იკისრეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ახალი ვალდებულებანი.

ამ ვალდებულებებში გათვალისწინებულია, რომ კოლმეურნეობა მიმდინარე წელს აწარმოებს: 1.300 ცენტნერ ხორცს, 3.750 ცენტნერ რძეს, 227.000 ცალ კვერცხს, 2.180 ცენტნერ მზესუმზირას, 8.230 ცენტნერ ყურძენს, 23.305 ცენტნერ მარცვალს.

სახელმწიფოს მიეყიდება: 1.159 ცენტნერი ხორცი, 2.915 ცენტნერი რძე, 173.000 ცალი კვერცხი, 1.240 ცენტნერი მზესუმზირა, 8.000 ცენტნერი ყურძენი, 3.760 ცენტნერი მარცვლეული. სოფლის მშრომელები ინდივიდუალურად გაასუქებენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 500 სულ ღორს.

კოლმეურნეთა კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **მ. ღვინჯილიამ,** საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრის პირველმა მოადგილემ **გ. აზაურაშვილმა,** საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. გელაშვილმა.**

კრება დამთავრდა. სოფლის სხვადასხვა უბნისაკენ ცმაყოფილებით გაემართნენ კოლმეურნეები.

ვლ. მეიდლიშვილი,
„კომუნისტის" სპკ. კორ.

ხურათზე: სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრების დარბაზში.

ფოტო ს. ბენბიშრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ლენინელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის ფუძე ჩვენს ვლანეტაზე

ყოველი მხრიდან

პაკისტანი

ყარაჩი, 13 თებერვალი. (საკ-დესი). „ლენინი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ — ამ თემაზე აღმოსავლეთ პაკისტანის დედაქალაქ დაკაში სემინარი მოაწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულის მომწყობმა საორგანიზაციო კომიტეტმა. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის უდიდესი წვლილი აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციურ მოძრაობაში.

სემინარის მონაწილეებმა ნახეს ფილმი ვ. ი. ლენინზე.

ბულგარეთი

სოფია, 13 თებერვალი. (საკ-დესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ბულგარეთში მოეწყო მოძრავი მხატვრული გამოფენა. ვიეტნამის ვრცელ სალოზში ექსპონირებულია საბჭოთა და ბულგარელ მხატვართა სურათების რეპროდუქციები, რომლებიც ეძღვნება საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს. გამოფენას დაათვალიერებენ ქლოდ ივან ოლქის რკინიგზის მაგისტრალებზე განლაგებული ყველა დასახლებული პუნქტის მცხოვრებლები.

კონგო

ბრაზავილი, 13 თებერვალი. (საკდესი). „ვ. ი. ლენინი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ — ლექციი ამ თემაზე ჭაიკოფსკის ბრაზავილში ხალხთა შორის მეგობრობის ასოციაციის მიერ მოწყობილი ლენინიანური კითხვების ფარგლებში.

ლენინურმა კითხვებმა კონგოელ საზოგადოებრიობას უნდა გააცნოს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის იდეური მემკვიდრეობა.

სირია ლეონე

ფრიტაუნი, 13 თებერვალი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით სირია ლეონეს დედაქალაქში გაიმართა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების გასინჯვა, გასინჯვაზე უჩვენეს აგრეთვე ფერადი ფილმი, რომლითაც სირია ლენინს მცხოვრებლები გაეცნენ საბჭოთა კავშირს.

მალი

ბამაკო, 13 თებერვალი. (საკდესი). აფრიკული ხალხები პატივს სცემენ ვ. ი. ლენინს როგორც დიდ მოაზროვნეს, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, როგორც უდრესად დიდმნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორს, წერს მალიელი ეურნალისტი ტიაფინგი ვაზეთ „ესორში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელსაც უძღვნის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ვ. ი. ლენინის ნაშრომები, ხაზს უსვამს ავტორი, გამოირჩევა ღრმა მეცნიერული ანალიზით. ზან შეიმუშავა კომუნისტური მოძრაობის თეორია და ტაქტიკა, „შექმნა კომუნისტური პარტია, მძლავრი პოლიტიკური ძალა, რომელმაც შეძლო ხელში აიღო და შეინარჩუნებინა ძალაუფლება“.

ავღნიშნავთ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ნათქვამია სტატიაში, დიდ პატივს ვცემთ სოციალიზმისათვის დიად მეცრძოლს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელს, ფილოსოფიური და პოლიტიკური აზრის გენიოსს.

ფინეთი

ჰელსინკი, 13 თებერვალი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით 16-21 თებერვალს ფინეთში გაიმართება საბჭოთა ფილმების კვირეული. კვირეულის დროს ნაჩვენები იქნება მხატვრული ფილმები „საუკუნის დამდეგს“, „ოქტომბერი“ და სხვა კინოფილმები, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას.

ინგლისი

ლონდონი, 13 თებერვალი. (საკდესი). გლაზგოს უნივერსიტეტში დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული. საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამით გათვალისწინებულია მიტინგების, ლექციების მოწყობა, კინოფილმების ჩვენება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე. დიდი იუბილესადმი მიძღვნილი ლექციები და დისპუტები მოიცავენ ბევრ თემას: სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიიდან დაწყებული, მარქსისტული ესთეტიკის პრობლემებით დამთავრებული.



მოსკოვი. ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი.

სურათზე: სამახსოვრო მედალი, რომელიც მუზეუმს გადასცა საფრანგეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. მედალი დამზადებულია პარიზის ზარაფხანაში. ავტორია ა. ბლოკი.

ფოტო ბ. სტუდენისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ფეიერვერკები დრეზდენში

მაქს ციმერინგი

ვინც კი თვალს მოკრავს ქუჩაზე მიმავალ ჩემს მეგობარს — ფრანც პოლკაპეელს, გამართულად, რიხიანად რომ მიიბიჯებს, თავზე შავი ძველებური ქუდი რომ ხურავს, ძნელად დაიჯერებს, რომ ეს მამაკაცი უკვე 88 წლისაა. ამასთანავე მის მიერ განვლილი ცხოვრების 88 წელი ია-ვარდებით არ ყოფილა მოკირკული. შვარცვალდელი ღარიბი მუშის შვილმა ძალიან ბევრი გაიკეთა რევოლუციისათვის და ბოლოს დრეზდენის სახალხო გაზეთის რედაქტორი გახდა.

ეი მცირე ცნობები ჩემი მეგობრის ცხოვრებიდან. ეხეც საკმარისია, რადგან მე ლენინზე მინდა მოგითხროთ და ამასთან დაკავშირებით ფრანც პოლკაპეელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ამას წინათ პრაღაში მოგზაურობიდან რომ დავბრუნდი, ფრანცს შევხვდი... მოგუფეფი ჩემს შთაბეჭდილებებზე. უნდა გენახათ, როგორ გაუბრწყინდა თვალები, როცა პრაღის ლენინის მუზეუმზე ვუამბეთ. და როცა ვუთხარი, იმ ოთახში ვიდექი, სადაც 1912 წელს პრაღის ისტორიული კონფერენცია გაიმართა-მეთქი. ამ კონფერენციის შემდეგ მუშათა კლასის ბელადი დრეზდენში გაჟამგზავრა. ეს იმ თარიღს ხომ არ ემთხვევა, თქვენ რომ პირველად შეხვდით ლენინს-მეთქი, — კითხე ფრანცს.

— არა, — მიპასუხა დაბეჯითებით, ლენინი 1909 წელს გავიცანი.

— იცი, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველაფერი მხოლოდ გუშინ მოხდარიყოს. ერთ დღეს სახალხო გაზეთის რედაქციაში მოულოდნელად გვეწვია რუსი ამხანაგი ლენინი. რა სიხარულით აგვიტაცენდა გული!

ეს ჩვენი რედაქციის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო. ლენინი ჩვენთან არის! — ამ წამოძახილით გამაქროლა ერთმა კოლეგამ განყოფილებაში. ლენინი იქ დამხვდა.

ფრანც პოლკაპეელი ცოტა შეჩერდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს იგონებსო. სიპატიო სტუმართან რედაქციაში მეტად საინტერესო საუბარი გვქონდა... ზუსტად ყველაფერი ალარ მახსოვს. მაგონდება, ლენინმა ქალაქის დათვალიერება მოისურვა. მე და რედაქციის ერთი თანამშრომელი სამუშაოდან გავთავისუფლდით და ლენინის მეგზურობა ვიკისრეთ. დრეზდენის ლამაზ ქუჩებში გამოვედით. ეგონე ჩემი ქალაქი მეც იმ დღეს გავიცანი საფუძვლიანად. ქალთა მონასტერი, ცვინგერის სასახლე, ოპერა, სამეფო ეკლესია, სურათების გალერეა — აი რის დათვალიერება სურდა ლენინს.

უნდა გამოგიტყდე, ადვილი არ იყო ყველაფერზე პასუხის გაცემა. ვერ წარმოიდგენ, ისტორიის როგორი მცოდნე აღმოჩნდა ლენინი, რა კარგად ერკვეოდა გერმანიის ისტორიაში, დიახ, თვით საქსონის ისტორიასაც კი იცნობდა!

ფრან�ი შეჩერდა, მერე გააგრძელა: ქალაქი რომ დავათვალიერეთ, ლენინი ბრაუნშვაიგერის სახტუმროში წავიყვანეთ.

— ფრაიბერგის მოედანზე?

— ფრაიბერგის მოედანზე. იმ დროისათვის ამ სასტუმრომ დრეზდენის პარტიულ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა. აქ ბევრ ცნობილ პარტიულ მოღვაწეს გაუფრეკია ღამე. აქ ვისხედით ვილჰელმ ლიბკნეხტთან, აუგუსტ ბებელთან და სხვა ამხანაგებთან ერთად. ლენინსაც აქ დაუჭერეთ ოთახი. მაგრამ ძალზე არავის უფიქრია. მთელი ღამე დისკუსიაში გავატარეთ. ლენინი უურადღების ცენტრში იდგა, იგი გვაოცებდა დიდი ერუდიციით. ამასთანავე უბრალო იყო, გვიბილავდა თავისი სიხადავით. ზოგჯერ თავს გვერდზე გადასწევდა და ვერ გაიგებდით, მოსმენილზე ფიქრობდა ამ დროს, თუ ადამიანებს აკვირდებოდა. თვალში გეცემოდათ მისი მაღალი შუბლი და გამჭრიახი თვალები.

ფრანცი გაჩუმდა, უცემ წამოდგა, ტერასების მოაჯირთან მივიდა და ხელი დამიქნია. — ეი ამ ადგილას მასთან ერთად ვისხედით. ლენინმა თავისი სამგზავრო ქუდი უკან გადაიწია, პალტო შეიხსნა. მიგვითითებდა აუგუსტის ხიდზე, ოპერაზე, სამეფო ეკლესიაზა და სხვა შესანიშნავ ნაგებობებზე და მათზე ლაპარაკობდა. არ მოველოდით, რომ რუსი რევოლუციონერი ესოდენ უურადღებას გამოიჩენდა ფეოდალური ხანის ძეგლებისადმი.

... ეს ყველაფერი მუშების ხელებმა შექმნეს და ხალხისავე საკუთრება გახდებაო, — ამბობდა იგი. აი ვინ იყო ნამდვილი ადამიანი, პეშმარიტი რევოლუციონერი! დიახ, ამ ადგილზე ვიდექით, მის თვალებს ვერასოდეს ვერ დავიიწყებ. იდგა ქალაქის პანორამისაკენ ხელგაწვდილი, კოთხულობდა თუ ამბობდა რაიმეს. იცი, არის კიდეც ასეთი ადგილები, ლენინისა — ხელგაწვდილი რომ ელაპარაკება ხალხის მასებს — სწორედ ასეთი ჩამრჩა ლენინის სახე შეხსიერებაში.

ფრანცმა თვალები დახუჭა, თითქოს ხსოვნაში კვლავ ლენინის სახეს ხედავსო. მე კი ტერასებიდან გადავცქეროდი აუგუსტის ხიდს, ახლა რომ დიმიტროვის სახელს ატარებს და სხვა არქიტექტურულ ძეგლებს, რომლებიც ხალხმა ნანგრევების სახით ჩაიბარა. ახლა კი დიდი სიყვარულით აშენებს, ალადგენს — ამჯერად თავისთვის.

ჩვენს გვერდით მოაჯირთან ვხედავდით ლენინს — ხელგაწვდილი რომ ესაუბრებოდა ხალხის მასებს და მათ გულისაკენ მიიკვლევდა გზას.

გერმანულიდან თარგმნა

ლამარა ძინძიბაძემ.

მუშიდობა — ახლო აღმოსავლეთში

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის პრესის, საინფორმაციო სააგენტოების განსაკუთრებულ ყურადღება მიიპყრო საბჭოთა მთავრობის დიდმნიშვნელოვანმა ინიციატივამ, რომლის მიზანია ახლო აღმოსავლეთში მფლობარეობის მშვიდობიანი მოწესრიგება.

დედაქალაქის გაზეთები „ვაშინგტონ დეილი ნიუსი“ და „ვაშინგტონ ივნინგ სტარი“ აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის მიმართვა ისრაელისა და მისი მფარველების სერიოზული გაფრთხილებაა.

პარიზი, 14 თებერვალი. (საკდესი). პარიზის პრესამ თავის მკითხველებს გააცნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის პირადი მიმართვები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ნიქსონისადმი, ინგლისის პრემიერ-მინისტრ ვილსონისა და საფრანგეთის პრეზიდენტ პომპიდუსადმი.

მიმართავს რა ნიქსონს, ვილსონსა და პომპიდუს, აღნიშნავს „ლუმანიტე“, ა. ნ. კოსიგინი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ხელი აიღებინონ ისრაელს შეიარაღებულ პროვოკაციებზე და უზრუნველყონ, რომ ახლო აღმოსავლეთში დამყარდეს მტკიცე მშვიდობა. წერილებში, წერს გაზეთი, ხაზგასმულია, რომ ისრაელი, განაგრძობს რა თავის ახალდგილ პოლიტიკას, აფარფოფებს და ამწვავებს კონფლიქტს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რაიონში.

ა. ნ. კოსიგინის წერილებში, წერს „ფიგარო“, ხაზგასმულია, რომ საჭიროა გამოიკვლონ სახელმწიფოებს შორის კონსულტაციების არსებული შესაძლებლობანი, კერძოდ, ოთხმხრივი კონსულტაციები სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომლებიც მიმდინარეობს უშიშროების საბჭოს ფარგლებში.

ამერიკის შეერთებული შტატები

ვიზიტი დამთავრდა

ვაშინგტონი, 13 თებერვალი. (საკდესი). **თავდაცვის მინისტრმა მ. ლერდმა დაამთავრა სამი დღის მოგზაურობა საბჭოთა ვიეტნამში. მ. ლერდი მოგზაურობდა პრეზიდენტ ნიქსონის მითითებით, რათა ადგილზე „შეეფასებინა“ ვიეტნამში ომის „ვიეტნამიზაციის“ ტემპი.**

გაფრენის წინ საიგონის ეროპორტში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე პენტაგონის შეფი შეეცადა ვარდისფერი ტონებით დაეხასიათებინა „პროგრესი“ „ვიეტნამიზაციის“ დარგში, რომელიც როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს საიგონელ მარიონეტთა ხელით განხორციელდეს შეერთებული შტატების საბრძოლო-პოლიტიკური მიზნები ვიეტნამში. მაგრამ იგი იძულებული გახდა ელაპარაკნენა, რომ ყველაფერი ისე არ როდი მიდის, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს, ამიტომ „შეერთებულმა შტატებმა უნდა გაითვალისწინოს ზოგიერთი დროებითი წარუმატებლობა“.

დანაშაული დამტკიცდა

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ე. ეგოროვი იუწყება:

ფორტ-ბენინგში დამთავრდა წინასწარი სასამართლო გარჩევა ლეიტენანტ კოლის საქმის გამო. იგი მეთაურობდა ამერიკელ ინტერვენტებს, რომლებმაც საბრძოლო ვიეტნამის თემის სონგმის მშვიდობიანი მოსახლეობა დაიხოცეს 1968 წლის მარტში. კოლის ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება 102 ვიეტნამელი სამოქალაქო პირის დახოცვაში.

წინასწარი სასამართლო მოსმენის დროს მისმა მფარველებმა გამოიყენეს ყველა ხრიკი, რომლებიც ამერიკის სასაროცესო კოდექსით არის ნებადართული, რათა ჯალათი დაეცვათ გასამართლებისაგან. დაცვის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, მაგალითად, ის არის, რომ თითქოს „შეუძლებელი“ იყოს კოლის გასამართლება იმ ფარფატ გახმატრების გამო, რომელიც მსოფლიო პრესაში მოჰყვა სონგმში ჩადენილ მხეცობას.

არსებითად წინასწარი გარჩევის დროს დაცვის ნებას აძლევენ სამხედრო ხელისუფალნი, რომლებიც ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრის ზეგავლენით იძულებული იყვნენ ალეძრათ სასამართლო საქმე კოლისა და სონგმის მოსახლეობის დაწიოკების მონაწილე ზოგიერთი სხვა სამხედრო მოსამსახურის წინააღმდეგ. მაგრამ კოლის დანაშაული სავსებით ცხადი იყო. მოსამართლე კენდიმ, რომელსაც წინასწარი მოსმენა მიუკაცდა, გამოაცხადა, რომ არის ყველა საფუძველი სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოსათვის კოლის გადასაცემად. კოლის საქმის მოსმენა ტრიბუნალში წინასწარ დანიშნულია 18 მაისს.

კიდევ ერთი ბრალდება

მუშინგტონი, 14 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი გ. ბელიაევი იუწყება:

ფალკლენდში, ბროდკაუნტრეულ პოლკის ჯარისკაცი ალბერტ ალბერტსონის და მისი ოჯახის წევრთა დახოცვაში ბრალდება ოფიციალურად წაუყენეს ერთ-ერთ მკვლელს ცოლს ანეტ ბეილს. ამრიგად, ბ. ბეილ შეთქმულების ცნობილ მონაწილეთაგან მეოთხეა, რომელსაც ოფიციალური ბრალდება აქვთ წაყენებული. როგორც საბრალდებო დასკვნაშია ნათქვამი, იგი განაგებდა ფულს, რითაც ფინანსდებოდა შეთქმულება ალბერტსონის წინააღმდეგ, იძენდა იარაღს, დაიქირავა ბანდიტი ერბან მარტინი და კლოდ ლილი, რომლებსაც მკვლელობაში ედებათ ბრალი.

ბრიკის ეპიდემია

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში ვრცელდება „ბრიკის ეპიდემია“.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშონალის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ახლა ბრიკის ეპიდემია მძვინვარებს ქვეყნის 45 შტატში 31 შტატიდან.

გაააქვთ ვალუტა

ბონი, 13 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთგერმანულ მილიონერებს „საზღვარგარეთ გააქვთ ფული“, — ასეთი ცნობები გაჩნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესაში.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, დასავლეთ გერმანიის გასულ წლის ოქტომბერში მარკის რევალვაციის მომენტიდან ქვეყნის სავალუტო რეზერვები „საოცარი სიჩქარით მეტეორდა“. ამრიგად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ „ბატანილია დაახლოებით 25 მილიარდი მარკის ღირებულების ვალუტა“.

„კაპიტალის ასეთი ინიციატიური გადინება“ მარტო იმით როდი აიხსნება რომ საზღვარგარეთ კაპიტალდაბანდვების „უფრო ხელსაყრელი პირობებია. რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრეწველებსა და ბანკირებს ეზიდავს სხვადასხვა ქვეყანაში.

როგორც გაზეთი „ველტ ამ ზონტაგი“ უსვამს ხაზს, კაპიტალის გაძალიერებული გატანის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ დასავლეთგერმანული მილიონერები სკეპტიკურად ეკიდებიან სოციალ-დემოკრატი კანცლერის ბრანდტის მთავრობას და ეშინიათ, რომ ეს მთავრობა გარკვეულ ღონისძიებებს განახორციელებს სოციალურ დარგში, ავიდეთვე კაადიდებს მოგების გადასახადებს.

სწორედ ამიტომ, ხაზს უსვამს „ველტ ამ ზონტაგი“ ბევრი მეწარმე ამანდგებს თავის კაპიტალს საზღვარგარეთ.

გაზეთი აღნიშნავს, ავრეთვე, რომ „ვალუტის გადინებამ“ შეიძლება საკმაო შეფეთება მოუვლინოს ბრანდტის „კანინტის ეკონომიური პოლიტიკისათვის“.

ინდოეთი

კომპანიები თმოგბენ

დელი, 13 თებერვალი. (საკდესი). **ამერიკის „კალტექსის“ ნავთობის კომპანიის ფილიალის სამმართველო დაემორჩილა ინდოეთის მთავრობის მოთხოვნას და დათანხმდა შეამციროს ნედლი ნავთობის ფასი.**

როგორც ცნობილია, ამა წლის დამდეგს ინდოეთის მთავრობამ ქვეყანაში მოიმედ ტუნოვთის ნავთობის კომპანიებს გადაეხადათ მოსთხოვა შეეცვალათ ინდოეთში შემოტანილი ნედლი ნავთობის ფასები.

„ბირმა შელისა“ და „ესოს“ კომპანიების ფილიალების სამმართველომ ინდოეთის მთავრობას აგრეთვე აცნობა, რომ ეთანხმება მის მოთხოვნას.

თურქეთი

კონგრესი სტამბოლში

სტამბოლი, 13 თებერვალი. (საკდესი). **გაიხსნა თურქეთის რევოლუციური პროფკავშირების კონფედერაციის მესამე კონგრესი.** ამ კონფედერაციაში, რომელიც სამი წლის წინათ შეიქმნა, ახლა შედის 11 პროფკავშირი. ეს პროფკავშირები აერთიანებენ ოთხმოცი ათასამდე მუშას.

მთელი რიგი ქვეყნების პროფკავშირულმა, გაერთიანებებმა თურქეთის რევოლუციური პროფკავშირების კონფედერაციის მესამე კონგრესს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილები. თურქეთის მშრომელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ მუშაობაში წარმატებანი უსურვა და ძმურად მიესალმა საბჭოთა პროფკავშირების სახელით საკავშირო პროფესიაბჭო. შეგობრული წერილები გამოუგზავნეს კონგრესს აგრეთვე ბაკისტანის, ბულგარეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების პროფკავშირებმა.

ეს ბოლო წლებში, წერს „ალბი“, იაპონიის მთავრობა ახორციელებს პოლიციელთა ძალების თანამიმდევრული ზრდის და ამასთან სახელმწიფო აპარატის სხვა რგოლების შემცირების პოლიტიკას, ამა წლის მანძილზე, 1960 წლიდან, იაპონიის პოლიციის კორპუსი გაიზარდა 47.900 კაცით და ამჟამად შეადგენს 177.620 კაცს.

მთავარი პოლიციის სამმართველოსათვის გამოყოფილი 44,5 მილიარდი ენიდან თითქმის ნახევარი ხმარდება იმას, რომ პოლიცია აღიჭურვოს მასობრივი დემონსტრაციების გაფანტვის საშუალებებით და მობილური რაზმების გაფასაყვანი ტრანსპორტით. პოლიციელთა მობილური ნაწილები, რომელშიც 50 ათასზე მეტი კაცია, მომდინარე წლის ბოლოსათვის, რიცა მთავრობას დაგეგმილი აქვს ოქტომბერად გადაკრძელოს იაპონიისა და რ ა კ ი ს უშიშროების ხელშეკრულების გამო, 90 ათასამდე გაიზრდება. გარდა ამისა, „იაპონია-ამერიკის სამხედრო „ალიანსის“ გაძლიერების წინააღმდეგ მშრომელთა გამოსვლების ჩასახშობად, როგორც პრესა იუწყება, იაპონიის პოლიცია გაძლიერდება სპეციალურად მომზადებული სამხედრო ნაწილებით.

ფაქტი კომენტარით

ამერიკა—აგრესორის დამქაში

ლონდონი, 13 თებერვალი. (საკდესი). რბიტერის სააგენტოს ტელეგრაფული კორესპონდენტი იუწყება: ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აბუ-ზააბალის (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა) ლიფინდასამშვაბელ ქარხანას ისრაელის მფრინავები. თითქოს „ნამიგაციური შეცდომის“ გამო დაეშინენ თავს.

საკდესის კომენტატორი იური ტიხოსანი ამის გამო წერს:

ისრაელის აგრესიის ბარბაროსული თავდასხმა ეგვიპტის დედაქალაქის მახლობლად აბუ-ზააბალის სამოქალაქო საწარმოზე ისრაელი გენერლების აგრესიული კოზეტფლიის ლოგიკური შედეგია, რომლებიც ახლა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკრეფენ წოდებულ „ღრმა თავდასხმების“ ტაქტიკას მიმართავენ. ყაჩაღური რეიდები არაბული სახელმწიფოების მეზიდრად დასმულებულ რაიონებში, კერძოდ, ირორანიისა და ეგვიპტის ქალაქებზე, ძალიან სიმაში შედგება შეიძლება მოჰყვეს.

ტელ ავივის ოფიციალური პირნი ახლა ცდილობენ თავი აარიდონ პასუხისმგებლობის და ბალოტების „ტექნიკურ შეცდომებს“ მიაწერენ მას. ამასთან ისრაელის შეტრიბონი თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირთა მეშვეობით აცხადებს, რომ არაბული სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავდასხმის ტაქტიკა, მიუხედავად აბუ-ზაბაალეს ტრაგედიისა, უცვლელი რჩება.

ტელავიველი ექსტრემისტების მიზნები საიდუმლო არ არის. 1967 წლის აგრესიის დროს ისრაელს დასავლეთის იმპერიალისტებმა წრეებმა, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ-მა შტატებმა, დაუსახეს ძირითადი ამოცანა დამეხოთ პროგრესული რეჟიმები არაბულ სამყაროში, კერძოდ, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სირიაში. ამ ცდას მარცხი ნათელია, მაგრამ მიუხედავად ამისა ტელავივის აგრესიული წრეები, რომლებიც ამერიკელი ბანკირთა ინტერესებს ეხმარებიან ოკეანეთა ოკეანეებიდან ბატონების დაკავლაში.

გაზეთ „ალ-აჰრამის“ მთავარი რედაქტორი მუჰამედ ჰასანეინ ჰეიკალი დღეს აღნიშნავს, რომ ისრაელი ექსტრემისტები ადგენენ გეგმებს გამოიყენონ „სიღრმისეული“ თავდასხმებისათვის ამერიკელი „ფანტომები“ და ასევეთანი „ბლეკერიგი“ აძიძულონ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დანებდეს. ყველაფერი ეს, ხაზს უსვამს ჰეიკალი, კეთდება თეთრი სახლის ლოცვა-კურთხევით.

„საკვირველი ბრ არის, — წერს კაიროს გაზეთი „ალ-აჰბარი“, — რომ ამერიკა, რომელიც მასობრივ ხოცვა-ჟლეტას ეწევა ვიეტნამში, ისრაელს აძლევს იარაღს, რასაც იყენებენ ისეთი ბინძური დანაშაულისათვის, როგორიცაა აბუ-ზაბაალის სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმა“.

ეს ბოლო ორ-სამ ერთ-ერთი ბაზაში მიიყვანეს.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები.

ნაყოფიერი თანამშრომლობა

● **უარაჩი**, 14 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა კავშირმა 800 საფეიქრო დაზგა გაუგზავნა აღმოსავლეთ პაკისტანის სამრეწველო განვითარების კორპორაციას. იუწყება ადგილობრივი პრესა. ქალაქ გოროსალის ჯუთის ფაბრიკაში წარმატებით გამოსცადეს ეს დაზგები.

როგორც ადგილობრივმა სპეციალისტებმა განაცხადეს, საბჭოთა საფეიქრო დაზგები მათ შესაძლებლობას მისცემენ შრომის ნაყოფიერება გაადიდონ დაახლოებით 20-25 პროცენტით.

მთავრობა გადადგა

● **ანკარა**, 14 თებერვალი. (საკდესი). სამართლიანობის მმართველი პარტიის ხელმძღვანელმა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის გაუადგომის შესახებ. დღეს ამ გადაწყვეტილებას განიხილავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ მიღებულია მას შემდეგ, რაც ქვეყნის პარლამენტმა ბმის უმრავლესობით უარყო ახალი საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი.

ტოკიოს მოსახლეობა

● **ტოკიო**, 14 თებერვალი. (საკდესი). იაპონიის დედაქალაქში 1970 წლის 1 იანვრისათვის ცხოვრობდა 11.457 ათასზე მეტი კაცი. როგორც მუნიციპალური სტატისტიკური ბიურო აღნიშნავს, ამ ბოლო ხანს იზრდება იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც ტოკიოდან მუდმივ საცხოვრებლად იაპონიის სხვა ქალაქებში გადადიან. სამუშაოზე მოწყობის სიძნელენი, ცხოვრების სიძვირე, ბინების უკმარობა, ძლიერად გაჭუჭყიანებული, ჯანმრთელობისათვის მავნე მაერი — ყოველივე ეს იმას იწვევს, რომ იაპონელები ახლა უკვე ალარ ცდილობენ, როგორც წინათ, იცხოვრონ დედაქალაქში.

დამრღვევი დაკავეს

● **ანთვერპენი**, 14 თებერვალი. (საკდესი). ქამბოჯის შეიარაღებულმა ძალებმა 8 თებერვალს ღამით დაიკავეს ამერიკის სამხედრო კატარღა, რომელმაც დაარღვია ორი ქამბოჯის ტერიტორიული წყლები პრეივენგის პროვინციაში, იუწყება ქხმერ პრესის საგენტო. კატარღა და 8 კაცისაგან შემდგარი მეკიანი ქამბოჯის სამხედრო ფლოტის ერთ-ერთ ბაზაში მიიყვანეს.

ქომუნისტი

№3 ბელგრადი, კვირა, 15 თებერვალი, 1970 წ.

ჟურნალ „ლენინელ“-ის ბიბლიოთეკა

№ 3

ბ ა ბ ი ტ ი

ალ. ბ ლ ო კ ი

ბ ა ბ ი ტ ი

ბ ა ბ ი ტ ი

**ბ ა ბ ი ტ

ახალი სიცოცხლე

დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

თითქმის უკვე ორი თვეა, რაც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „სამანიშვილის დედინაცვალი“ შეუნელებელი ინტერესით იზიდავს მაყურებელს.

სამოცდაათი წელიწადია, რაც ქართველი შეიფარეთ და მაყურებელი თავისი საყვარელი კლასიკოსის, ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის შესანიშნავი წარმომგენელის, იუმორის დიდი ოსტატის — დავით კლდიაშვილის მაღალმხატვრული ნაწარმოების თავს ეკრავს. დღემდე მწერლის ნაწარმოებები ადიოდნენ თეატრალურ ფიქანნაზეც და პოულობდნენ შესანიშნავ განსახიერებელს, როგორც რეჟისურაში, ისე სამსახიობო ხელოვნებაში. ამ სცენურ ნაწარმოებებში იყო ნათელი და დინამიური სიუჟეტი, დაცული იყო ეპიქის სტილი, შეტყვილებდნენ წარსულის ადამიანები, რომლებიც დაცემულ ანხარობის მკაფიო სურათს ხატავდნენ. ამ სპექტაკლთაგან ზოგნი ძირითადი სოციალური ურთიერთობის პრობლემის სასახიერება იყო, ზოგნი ეროსმიური ვითარებების ჩვენება და ზოგიც კიდევ წარსულში შეძლებული, მაგრამ უკვე დაკვეთიერული საზოგადოებრივი ფენის ცხოვრების ასახვად.

ყველა ამ გაანზრებაში აქცენტირებული იყო კეთილობა, წინ იყო წამოწეული ეთნოგრაფიულობა...

დღეს, „სამანიშვილის დედინაცვლის“ დადგმისას, თეატრს შეიძლება ჰქონოდა ასეთი ძირითადი სტიმული: სხვა თეატრებში ბევრჯერ განხორციელებულ ამ კლასიკურ ნაწარმოებზე ეთქვა თავისი განსაკუთრებული სიტყვა ახალი საშუალებებით. ეს განსაკუთრებული სიტყვა კი უნდა ყოფილიყო თანამედროვე ადამიანის ცხოვრებიდან გამომდინარე.

რაღა თქმა უნდა, ძნელი იყო დამდგმელ რეჟისორებს — რ. სტურუას და შ. ჩხეიძეს ამ თვალსაზრისით გადმოეცათ იდეა იმ ნაწარმოებისა, რომლის შესახებაც ასე ბევრია თქმული და დაწერილი.

რეჟისორები შეეცადნენ ჩამოეცილებინათ მოთხრობისათვის მის ირგვლივ შექმნილი ლიტერატურისა და მოგონებების სამოსელი, წაეკითხათ ეს ნაწარმოები ისე, ოღონდ ეს ეკითხა ეს ადამიანური განცდის მაღალ საფეხურზე.

ეი სწორედ ეს ამოძრავებდა დავით კლდიაშვილს თავის დიდ შემოქმედებაში.

ამ თვალსაზრისით, რეჟისორებს ერთნაირად აინტერესებთ დრამატიული მოქმედების თანასწორეფლებიანი სუბიექტები — პლატონიკა და მთხრობელიც, რომლებსაც ბრწყინვალებით ასახიერებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბორის ბეზარაშვილი. მსახიობი თითქოს სრულიადაც არ ცდილობს გარდასახოს დასახელებულ გმირებად, მაგრამ რადაც იდუმალი ძალით აიძულებს მაყურებელს, მისი გმირების ირგვლივ შომხდარი ამბის მიმართ გარკვეული პოზიცია დაიკავოს.

ბ. ბეგეჯორის, ამ მაღალპროფესიული კვალიფიკაციის არტისტს, შესანიშნავად ესმის, რომ მისი მთხრობელი არ უნდა გაითქვიფოს პლატონში. პირიქით, მან პლატონს უნდა შეუნარჩუნოს დამოუკიდებლობა მთხრობელისაგან. მსახიობმა, როგორც მთხრობელმა, უნდა დაგვანახვოს პლატონის საბედისწერო შეცდომაში და მარცხით დამთავრებულ მაშვილობაში.

მართლაც, რა დიდებულია ბ. ბეგეჯორის ოდესმცელი ერთი სახიდან მეორეში! მაყურებელს ესმის უაღრესი სიძნელე ასეთი პასაჟებისა და გულწრფელი, მჭეხარე ტაშით აჯილდოებს მას.

ქალმაღალ და „ბადაპარნჭულ“ ბეკინა სამანიშვილს სპექტაკლში ორი განმსახიერებელი ჰყავს, — სსრ კავშირის სახალხო არტისტი სმრბ ზაქარაძე და საქართველოს სახალხო არტისტი ბუხუტი ზაქარაძე. დიდი პროფესიონალიზმით შექმნილ ბეკინას სახეს მსახიობები სხვადასხვა გააზრებას აძლევენ.

ს. ზაქარიაძისათვის ისე როგორც ბ. ზაქარიაძისათვის, ბეკინა არ იქცევა მორს. ცხოვრობს ყოველდღიურობით და მისი განზრახვა „ერთი ბებერი ქალის“ შერთვისა, მტაცეკი და შეუფიქრელია. მაგრამ ს. ზაქარიაძის ბეკინასათვის მოწყლებულობის წლებში პირშუნ ბიჭის დაბადება სიამაყისა და სიხარულის დაუფარავი გრძნობაა. ამ ფაქტს ის ნათესავ-მეზობლების მოსვლისას საზეიმო ცერემონიალად აქცევს. ამ აზრს მსახიობი საოცრად ზუსტად გამოსახავს მასთან მოსალოდნელად მოსულ ჯიმშერ სალობერიძესთან შეხვედრისას. ბეკინა მას ეშმაკურად ჩაუკრავს თვალს და ჩაუბითხთეს კიდევაც ქვეტექსტით — „ხედავ, რა ყოჩაღი გამოვდექით?!“.

ი ბ ზ ბ ბ ბ